საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №30
2020 წლის 29 ივნისი

ქ. თბილისი

„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 168-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილების (სსმ III, №2, 09.01.2006წ., სარეგისტრაციო კოდი 300.320.000.16.009.007.995) მე-4 მუხლში მოცემული ცხრილის 46-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

46.	შპს „გასკო +“	25.766	13.272	40.933

“

მუხლი 2

შპს „გასკო +“-ის ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფში ფასნამატის ოდენობა შეადგენს 1.000 თეთრი/კუბურ მეტრს.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 ივლისიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2023 წლის 1 იანვრამდე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	დავით ნარმანია
კომისიის წევრი	გიორგი ფანგანი
კომისიის წევრი	გოჩა შონია
კომისიის წევრი	გიორგი ფრუიძე